# სამშობლო

წ. I 1915 წ. — სამშაბათი 31 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 44 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 44


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


მატრონა ბეგლარის ასული წერეთლისა, ალექსანდრე და გიორგი ივლიანეს ძენი, სოლომონ იოსების ძე წერეთლები და ნინო წერეთლის ასული კორძაიასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის ქმრისა, მეორენი მამისას და მესამენი ძმისას

**მღვდლის ივლიანე იოსების ძის წერეთლისას.**

გამოსვენება მისი სახლიდან და დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 1 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, სოფ. მაღლაკის ღვთისმშობლის ეკლესიის სასაფლაოზე. 1—1

პარასკევს, 27 მარტს, უეცრათ გარდაიცვალა მასწავლებელი

**ნიკოლოზ (კოლია) პეტრეს ძე ლუტიძე,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი მამა მისი პეტრე, დები მისი: დესიკო, ვენო, საიკო, ძმები: დანიელი და ივანე. მიცვალებულის ცხედარს ქუთაისიდან მატარებლით წააცვენებენ დღეს, დილის რვა საათზე და დაკრძალვენ შაბათს, 4 აპრილს თავის სოფელ თხილთაწყაროში. 1—1—139

ქალაქის თეატრი. სამშაბათს, 31 მარტს.

## ნ. ჩხიკვაძის
## ლიტერატურული საღამო

1 **ლექცია:** ახალი ჰანგები თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ევდოშვილი, (მისი მოღვაწეობის პირველი ხანა) რუხაძე, ქუჩიშვილი, ჩხიკვაძე. წაიკითხავს **შალვა სანებლიძე.**

2 **ვოდევილი „მოფურჩხულია“.** 1 მოქმ. დ. მესხისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ.-ნი მარო მდივანი, ქილარჯიშვილი, ბ.ბ. ბარველი, ვ. ურუშაძე და სხვები.

3. **ლიტერატურული** ს. აბაშელი, შ. რუხაძე, ზ. ტაბიძე, დ. თომაშვილი, ნ. ჩხიკვაძე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს. „უკანასკნელი ბარათი“, პსიხოლ. ესკიზი, შ. სანებლიძისა, წაიკითხავს ჩხიკვაძე ლადო ჯაფარიძე—ესკიზს.

4 ცნობილი მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე იმღერებს რომანსებს.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** ადმინისტრატორი **ვ. ურუშაძე.**

## გასტროლი ნინო ჩხეიძისა

ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, შაბათს, 4 აპრილს, **ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ზუდერმანისა

## ქალის სამშობლო (მამულ-დედული)

4 მოქ. თარ. ვ. გუნიას მიერ.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,**

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

მზადდება წარმოსადგენად: ივდითი, იუდას მემკვიდრე, ოიდიპოს მეფე და ოტელო.

**ფასები ჩვეულებრივია.**

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## „მმათა პასხალიდის“
## აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

**ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;**

**ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჟორჟიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петроженцкаго. ფასი 6 შაური. თ.

ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

## „ნ. უდალოვი და ი. ვაცილოვი“

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

**თომას კვირაში**

30 მარტიდან 4 აპრილამდი

ნიშნავს

## დიდ იაფ ვაჭრობას

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.

**სამანუფაქტურო მაღაზია ზ. ს. ბუტულოვისა**

ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, ბულვარის პირდაპირ,

## თომას კვირაში

**30 მარტიდან 4 აპრილამდი ნიშნავს**

## დიდ იაფ ვაჭრობას

6—1

## გაფრთხილება.

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც

**ს. ხრისტოდულიდის**

მაცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მეიდგენი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი,** რომლის **სამთელეს აუცილებლათ ყურადღება** უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი** აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

## სტუდენტი,

**უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისათვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლიძის სახლი.**

## ექიმი **გაბრიელ იოს. გოკიელის**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

## ექიმი **ი. ჩარექოვი**

ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. **განაახლა** კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**კბილის მენალარიშრილი და ტრუშაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

## სტუდენტი

ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით)

**ვამზადებ** და **ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დუქავას მაღაზიაში დევიძის სახლი. 14—8


# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 28 მარტი. დღის ოფიციალური ცნობა. 21 მარტს, ღამით ინგლისის ჯარმა კემელესა და ვულვერგემის შუა გერმანელების იერიში მოიგერა. მაასსა და მოზელს შუა წინ წავიწიეთ. ეპარჟში გერმანელების თხრილებს დავუბრუნდით, რომელიც დახოცილთა გვამებითაა სავსე. აიის ტყეში გერმანელების ორი კონტრიერიში მოვიგერიეთ, ექვსი ტყვიის მტყორცნელი და ორი ყუმბარის მტყორცნელი ვიხელთეთ. აქ გუშინ, შუადღიდან მტერს კონტრიერიში აღარ მოუტანია. მარმორის ტყეში გუშინ, საღამოს, შვიდ საათზე, მიუხედავათ მტრის სასტიკი იერიშისა, ჩვენ დაჭერილი ადგილები შევინარჩუნეთ.

**პარიზი.** 28 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ეპარჟთან სამხრეთის პოზიციაზე, რომელიც ვევრის ველის მთავარ ადგილს წარმოადგენს, მოტანილ იერიშის შემდეგ, ეს პოზიცია მთლათ ჩვენს ხელში გადმოვიდა. გუშინ ჩვენ ათასი მეტრის მანძილზე თხრილების მთელი რიგი დავიჭირეთ. გერმანელებს ხელში და ჩარჩათ მაღალ ველზე ადგილი, შუადღის შემდეგ ეს ადგილებიც წავართვით, 150 ჯარის კაცი დავატყვევეთ, ამნაირათ ერთ-ერთ ჩვენს უმთავრეს მიზანთაგანს მივაღწიეთ. აიისის ტყეში გერმანელების სამი კონტრიერიში მოვიგერიეთ და 200 მეტრის სივრცის პოზიცია შევიმაგრეთ. მარმარის ტყეში გერმანელებმა 15—ჯერ მოიტანეს იერიში, უნდოდათ გუშინ ჩვენ მიერ დაჭერილი თხრილები წაერთმიათ, მაგრამ მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. ბრძოლის ველზე დახოცილ გერმანელთა გვამების მთელი გროვა შესდგა. დანარჩენ ფრონტზე მომხდარ ბრძოლის შედეგი: ბელგიაში დრიგრახტენის ახლოს იზერის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა იერიშით თხრილების მთელი რიგი დაიჭირეს. ბელგიელები ამ მდინარის მარჯვენა ნაპირიდან მიუახლოვდნენ გერმანელებისაგან წართმეულ თხრილებს და შამპანში გამაგრდნენ. ბოისეჟურის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარი იბრძოდა. გერმანელები ცდილობდენ წარსულ თვეში ჩვენ მიერ დაჭერილ თხრილების ნაწილი წაერთმიათ, მაგრამ მოგერებულ იქნენ ჩვენის ცეცხლით, გარდა ერთი პუნქტისა, რომელზეც გერმანელები გამაგრდნენ. დღეს ჩვენ კონტრიერიშით თხრილების მთელი რიგი დავიჭირეთ და დიდი ზარალით მტერი უკუვაქციეთ. ბარტმანსვეილერის ფერდობებზე ბრძოლის დროს 150 დავატყვევეთ.

**ლონდონი.** 27 მარტი. გერმანიის წყალქვეშა ნავმა კარდიფა—ოპორტოდან მომავალი პორტუგალიის გემი „დურო“ ჩაძირა, რომელიც ქვანახშირით იყო დატვირთული. კამანდა გადარჩა.

**პარიზი.** 29 მარტი. დილის სამ საათზე ბელგიაში მდ. ენთან და შამპანთან ბრძოლა არტილერიის ცეცხლით სწარმოებდა. მივიღეთ ცნობა, რომელიც მაასისა და მოზელის შუა ბრძოლის დროს ჩვენს გამარჯვებას ადასტურებს. მარმორის ტყეში ალმოსავლეთის გზით ჩვენი ფრონტი გავადიდეთ, მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ და ახალი თხრილები გავაკეთეთ. ლეპრეტის ტყეში და[illegible]

# დღეს რა მოხდა.

**ჩრდილოეთის ასპარეზი.**

კალვარიასა და ლიუდვინოვის შუა რუსებმა გერმანელების პოზიციებზე იერიში მიიტანეს და ხიშტიანი ბრძოლის შემდეგ სანგრების ორი ხაზი დაიკავეს.

26 მარტიდან ავსტრიელებმა შოიკრიფეს ძალა და რუსების წინააღმდეგ სასტიკი იერიშების მიტანას შეუდგენ, თუმცა ყველა იერიში მათი დამარცხებით თავდება.

ვოლორატისა და ბოკოვცის ხაზიდან სამხრეთის გზით, მიუხედავათ ცუდი პირობებისა, რუსის ჯარმა წინ წაიწია და უჟოკს ველს ხუთი ვერსით დაუახლოვდა.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

ზღვის პირის გზით მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ოლთისის გზით უმნიშვნელო სროლა ხდებოდა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

მოკავშირეთა ჯარი გერმანელების იერიშებს ყველგან იგერიებს. ვევრის მთავარი ბრძოლის ველი ფრანგების ხელში გადავიდა. აქ თხრილების მთელი რიგი ფრანგების ხელშია.

მარმორის ტყეში გერმანელებმა 15 ჯერ მიიტანეს იერიში ფრანგებზე თხრილების წასართმევათ, მაგრამ იერიშები უნაყოფოთ დაურჩათ და ბრძოლის ველზე ბევრი მოკლული დასტოვეს.

**ზღვაზე.**

გერმანიის წყალქვეშა ნავმა პორტუგალიის გემი „დურო“ დასძირა.

**ჩერნოგორია.**

ალბანელები ჩერნოგორიის პორტებს ყუმბარებს უშენენ. სკუტარის ახლოს მ. ბოიანზე ორი ნავია ჩაძირული.

**ბუქარესტი.** 27 მარტი. ზარმორინციდან იტყობინებიან, რომ დილის 5 საათზე ავსტრიის მატარებელი, შეიარაღებული ზარბაზნებით ბოიანთან რუსის პოზიციებს მიუახლოვდა, რუსის არტილერიამ სროლა აუტეხა და ერთი მატარებელი და რკინის გზის ლიანდაგი მთლათ გაანადგურა.

**ათინა.** 28 მარტი. ათინის კაბინეტის პასუხის გამო ვენიზელოსის წერილზე, რომელიც მეფის სახელზე იყო გაგზავნილი, ყოფილმა პრემიერმა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე უარი განაცხადა. განზრახვა აქვს საზღვარგარეთ წავიდეს. როგორც ხმები დადის! ლიბერალურ პარტიის სათავეში ვენიზელოსის მაგივრათ რალისი ჩადგებაო.

**პეტროგრადი.** 27 მარტს. ბალტიის ზღვაზე პოლანგენთან, 29 მარტს, გერმანელების ჰიდროპაეროპლანი დავიჭირეთ, ორი მფრინავი აფიცერი დავატყვევეთ. კარპატების ქედის აქეთ ჩრდილოეთით ცისნიდან, ვიდრე სმერეკამდი და სმოლნიკიდან უსტრიჟკაზე გადავლით ადგილები დავიჭირეთ.

ლეთით წინ წავიწიეთ, გერმანელების ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. მთელი დღე თოვდა და ქროდა.

**ალმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 28 მარტი. მთავარსარდლის შტაბისაგან. მდ. ნემანის ფრონტზე სამხრეთით, 27 მარტს, გათენებისას, კალვარიასა და ლიუდოვინოვის შუა იერიში მივიტანეთ და გაშმაგებული ხიშტიანი ბრძოლის შემდეგ მტრის სანგრების ორი ხაზი დავიჭირეთ, 600 ჯარის კაცი დავატყვევეთ რამდენიმე აფიცრით და რვა ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. კარპატებზე მეზოლაბორის გზით მტერს შევუტიეთ და ჩაბოლოხთან მტერი ვირავიდან გავსდენეთ. ვოლიმიხოვის სამხრეთით ჩვენ 909 მეტრ. სიმაღლე დავიჭირეთ და ამნაირათ კარპატების მთავარ ქედს მტერი მთლათ ჩამოვაშორეთ. როსტოკის გზით მტერმა საკმარისათ მოიკრიფა ძალა და 26 მარტს შეუპოვარი იერიშების მოტანა დაიწყო, რომელსაც შეხვედრითი ხასიათი ჰქონდა. მამაცურათ მოვიგერიეთ რა მტრის ყველა იერიში, ათასი ჯარისკაცი დავატყვევეთ და ოცი აფიცერი. ქვეითა სტუზმიცისა, ვოლოსატისა და ბუკოვიცის ხაზიდან სამხრეთის გზით ჩვენი შეტევა გრძელდება, მიუხედავათ ადგილობრივი ცუდი პირობებისა. საჟენის სიმაღლემდი თოვლში ჩვენი ჯარი გზას იკეთებდა და უჟოკს ველს ხუთი ვერსით დაუახლოვდა. როსხაჩთანა და როჟოკისთან მტერმა ორჯერ უნაყოფოთ მოიტანა იერიში. ფრონტის სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი.** 29 მარტი. ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში დუნაიცის რაიონში, 26—28 მარტამდი ბრძოლა თოფით იყო. მეზოლაბორის გზით ადგილობრივი ცუდი პირობების მიუხედავათ, ტელიპოჩის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეების ასაღებათ ვიბრძოდით. ბრძოლამ ორი დღე გასტანა. დავატყვევეთ 378 ჯარის კაცი, 22 აფიცერი და ერთი კამანდირი. უჟოკის გზით ჩვენი ჯარი მამაცურათ წინ მიიწევს. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ სოფელ ბენევის სიმაღლეები და ჩრდილოეთით სოფ. სიანოკის განაპირა მხარე დავიჭირეთ. დავატყვევეთ 1000 ჯარის კაცი და 23 აფიცერი. ბუტელკის რაიონში უფრო შეუპოვარი ბრძოლა იყო, სადაც მტერმა დიდი ძალა მოიკრიფა. ჩრდილოეთით მდებარე ბუტლისა და კომარნიკოვის სიმაღლეები დავიჭირეთ. 700 ჯარის კაცი და 22 აფიცერი დავატყვევეთ, ორი ტყვიისმტყორცნელიც ვიხელთეთ. უჟგოროდის გზით კაზიუვკოსთან და ქვეითა როჟანკის აღმოსავლეთით სამ ვერსზე სამხრეთით როსოხაჩის სიმაღლეებზე მტერმა გაათრებული იერიში მოიტანა, მაგრამ ხიშტით მოგერებულ იქნა. მრავალი დაავატყვევეთ.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 29 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გზით, 26 მარტს, ბრძოლა ცეცხლით იყო. ოლთისის გზით უმნიშვნელო სროლა ხდებოდა. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უმნიშვნელოა.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ცეტინიე** 29 მარტი. ალბანელებმა ჩერნოგორიის პორტებს ყუმბარები ესროლეს. სკუტარის ახლოს მდ. ბოიანზე საქონლით დატვირთული მიმავალი ორი ნავი ჩაძირულია, მოკლულია ერთი ჩერნოგორელი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რან. უტრო“ იუწყება, რომ ხმები დადის ვითომც მოკავშირეთა ფლოტის ადმირალებს დაუდგენიათ, დროებით შესწყვიტონ ფლოტის მოქმედება დარდანელთან. ისინი მხოლოდ გარეშე ფორტებს დაუშენენ ყუმბარებს. მათი ამნაირი მოქმედება გამოწვეულია საროსის ყურესთან დესანტის გადმოსხმით.

— —

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ ზღვაში მოხდა საზღვაო ბრძოლა გერმანიის ესკადრასთანაო. შედეგი არ იციან.

— —

იუწყებიან, რომ იტალიასა და სერბიას შორის მოხდა ხელშეკრულება ადრიატიკის შესახებაო.

— —

„ბირჟ. ვედომ.“ იუწყება, რომ ახლო მომავალში უნდა მოხდეს გერმანიის ფლოტის საბრძოლათ გამოსვლა ჩრდილოეთის ზღვაში.

# საჭირო საკითხები.

I.

საცოდავი ჩვენი ქვეყანა, რომ უკან ჩამორჩენილია ყოველმხრივ ეკონომიურათაც და გონებრივათაც ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭიროც აღარაა, მაგრამ საყურადღებო მეტათ ის უბედურებაა, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ხელუხლებლათ მიმალულია და ამის შეგნებულობა ჩვენი სიბრმავის დამამტკიცებელი საბუთია. ისე უცხოული აქ არავინ მოვა, რომ გაკვირვებით არ დაცინოს, ერთმა პროფესორმა, რომელიც კარგათ დაუკვირდა აქაოზას მითხრა: „მდიდარი რომ შიმშილით კვდებოდეს, ამის მაგალითი თქვენი ლამაზი კავკასია არისო“. მართლაც, სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ენით გამოუთქმელი სიმდიდრე გარს გვარტყია და სარგებლობა ვერ მოგვიხერხებია. ჩვენი ქვეყანა ისტორიულათ სიმდიდრის სალარო იყო; ალექსანდრე მაკედონელის დროს აქ დიდი სამრეწველო ბაზარი იყო. მთელი ქვეყანა აქედან ეზიდებოდა სიმდიდრეს; დღესაც ასეა: ნავთი, შავიქვა, ნახშირი, ხეტყის მასალა, მატყლი, ღვინო, ხილი, სანოვაგე— ყველაფერი აქედან მიაქვთ და, როგორც სჩანდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული სტატისტიკური ცნობებიდან, *) ეს გაზიდვა თანდათან მატულობს, მაგრამ მიუხედავათ ამისა კიდევ ბევრი სიმდიდრე ხელუხლები, კიდევ ბევრი რამ მარხია მიწაში და ჩვენ არ ვიცით, რომ ვიცოდეთ მის სასარგებლოთ გადაქცევაზე მაინც ვერ ვიზრუნებთ; ვერ ვიზრუნებთ მიტომ, რომ ჩვენში სხვაგვარ საქმეებს ვუნდებით. იცი მკითხველო როგორს? აქ ბევრი ყალბი საჩივრები კეთდება, ხშირი სამედიატორო სამართალი იმართება, უხვი ლექსები იწერება, სადილები ეწყობა, სოციალიზმის პროპაგანდა სწარმოებს, კაცობრიობის ჭირისუფალნი ქვეყნის ჭირვარამზე გჭობენ,— გაჰსობენ, კოსმოპოლიტიზმს ნიადაგს უმზადებენ, ერთი პარტია მეორეს ეტოქება და სულ იმას ედავება ხალხი ჩემია და არა შენიო, თუმცა არც ერთის არ არის, რადგან არცერთი იმას არ იცნობს და არცერთი იმაზე არ ზრუნავს; მიცვალებულის დასამარხავათ და სხვადასხვა პირების შესახვედრ გასაცილებელ პროცესიის მოსაწყობათ კომიტეტები ინიშნება, ხმის უმეტესობით წევრები ირჩევა და ათასნაირი პლანები იწყობა. ერთი სიტყვით სულ პროცესსა და პროცესიებზე იღვრება ოფლი. ვისა სცალია ამის შემდეგ მეურნეობა-მრეწველობაზე იზრუნოს, ეროვნული სიმდიდრე აღმოაჩინოს და საცოდავი სამშობლო წინ წასწიოს? აი რაში იხარჯება ენერგია, აი რას ვაკეთებთ, გვიყვარს თავის გამოჩენა, სჩანს ჭკუა. კიდევ თვალებში გვაქვს მართალია თავის გამოჩენაც საჭიროა, მაგრამ **რით** და **როგორ**—საქმე ეს არის.

დიახ, ბევრ რამე უნაყოფოზე იხარჯება ჩვენი ინტელიგენციის ენერგია და ბევრ რამე უმნიშვნელოს ეწირება მსხვერპლათ ნასწავლი თაობის ძალღონე, მაშინ, როცა ბევრი რამ დამაფიქრებელი გარემოება თვალწინ გვიდგია. ავიღოთ თუნდა ჩვენი **მეურნეობა.** ნაყოფიერი მამულის პატრონები ვართ და რუსეთიდან მოტანილი პურით კი ვიკვებებით. მთელი ქუთაისის გუბერნიაში ორი თვის საყოფი პური არ მოდის. მართალია სიმინდი გააქვთ ჩვენი ქვეყნიდან, მაგრამ ასი ამდენი პური შემოაქვსთ. ორი სამი თვე რომ კავკასიას გზა რუსეთს მოსწყდეს თურმე შიმშილით უნდა დავიხოცოთ!!!.

ჩვენი ქვეყანა საუკეთესო ადგილია მეფუტკრეობისთვის, მაგრამ ეს დარგიც აქ საკმაოდ განვითარებული არ არის. იმერეთი და გურია სამეგრელო იმდენ ცვილს (ორგო) არ აკეთებს, რომ ადგილობრივი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. სულ ხუთი თვეა რაც სათათრეთთან კავშირი შესწყდა და საეკლესიო სანთლის ქარხნები ქუთაისსა და ფოთში თითქმის გაუქმდა, რადგან ადგილობრივი ნაწარ-ცვილი საკმაო არ არის. სულ ორიათასი ფუთი ცვილი სჭირდება ამ ორ ქარხანას და უმეტესი ნაწილი თურმე სათათრეთიდან მოგვდის. ამის შემდეგ განა ითქმის, რომ აქ მეფუტკრეობაა? განა სასარგებლო არ არის ცვილის კეთება, რადგან ფუთი 30 მანეთათ იყიდება? ეგევე ითქმის სხვა დარგზედაც. ერთი სიტყვით ყველაფერზე სხვისი იმედი გვაქვს, ყველაფერს სხვიდან მოველით და ადგილობრივ ქონებას ვერ ვხმარობთ. ხელდაჭდობილი რაღაცას ვუცდით, არ მესმის კი როდემდი ვიქნებით ამ სხვისი მფარველობის ქვეშ?!!

პირველი სამკურნალო ადგილი ჩვენი ქვეყანაა; ჩვენ კი ავათმყოფებს სხვაგან ვგზავნით. არც ზღვა გვაკლია, არც მთები, არც მადნეული წყლები, მაგრამ მოუწყობლობა, მოუხერხებლობა, მიუდგომლობა მდებარეობის გამო და სხვა ტეხნიკური მიზეზები გვაბრკოლებს. ამ დღეებში აქ დაიბეჭდა წიგნი, *) რომელიც ნათლათ გვიხატავს, რომ მარტო ქუთაისის გუბერნიაში 57 სამკურნალო წყარო ყოფილა, ზოგი ამათგანი სხვადასხვა დროს მეცნიერებს შეუმოწმებიათ, საფუძვლიანათ გამოურკვევიათ და მთავრობისთვის მოუხსენებიათ. ჩვენში კი ამ წყლების ამბავი არა თუ ყველამ, ექიმებმაც კარგათ არ იციან. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეების შესახებ მთავრობის კანცელარიებში საბუთები აწყვია და ჩვენმა „მეცნიერებმა“ არ იციან. რაც წყლებზე ითქმის იგივე უნდა ვსთქვათ მადნეულობაზედაც, რის საბუთსაც, როგორც ვიცი, მალე დავინახავთ. 57 წყაროც ბევრია ერთ გუბერნიაში, მაგრამ აქ კიდევ მეტია; წიგნში მაგ, გამოტოვებულია კვერეთის აბანო, რომელიც საჩხერიდან 5 ვერსის მანძილზეა მოშორებული და დიდი გავლენა აქვს ქარებიან ავათმყოფზე. ვინ იცის კიდევ რამდენია დარჩენილი და გამოუკვლეველი!!!

*) იხილე დ. ღამბაშიძის წერილები.

*) К. Мачаваріани. Цѣлебные минеральные Источники въ Кутаисской губерніи.

# აკაკი, როგორც მგოსანი.

(მასალა კრიტიკისათვის). *)

თავისი დროის დიდებული შვილი აკაკი ძლიერის სიტყვით მოუწოდებს თანამემამულეებს თავისი უფლების და ადამიანობის მოსაპოებლად; აი რა აწერია მის დროშას:

„რაც ძალადობით წაიღეს
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა.
არ სჯობს რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს“?

ამ სიტყვებიდან შეუძლებელია კაცმა ის დასკვნა გამოიყვანოს, ვითომ აკაკი გამსჭვალული იყოს სეპარატისტული გრძნობით. ნიჭიერი მამულიშვილი ძლიერ კარგათ იცნობს მშობელ ერს, მშვენივრად იცის, რომ ეს უკანასკნელი ამხანაგობასა და მეგობრობას გაუწევს ყველას, ვინც უნდა იყოს ის, თუ, რასაკვირველია, „გველურ კბენას და წურბელაებრ სისხლის წოვას“ არ დაიწყებს; ხოლო მაშინ კი, როცა ამგვარ არა ადამიანურ მოქმედებას—„გველურ კბენას და წურბელაებრ სისხლის წოვას“—ექნება ადგილი, მაშინ კი, ჩაგრულის მოციქული, ჭეშმარიტების მომხრე მგოსანი, სიცოცხლის მომსპობ გველისა და წურბელას მოსაცილებლათ ლესავს ხანჯალს და ზედ დამღერის:

„შენი ჭირიმე ხანჯალო
რკინაო ხორასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო.
გლესავ და გლესავ, ხანჯალო,
გამოგიფერავ პირსაო,
შენ უნდა ეძმო და ეყმო
მტრისაგან დაჩაგრულსაო...
შენ მიმეგზავნე მტრის გულთან
მიუძღვენ ჩემი სალამი,
ის ვითომ საწერელია
ჩაერჭვე, როგორც კალამი
მისი წითელი მელნითა
შემადგინე ქაღარა,
იმისი კვნესა, იქნება
ჩემი დაფი და ნაღარა“!..

აკაკი არ ეკუთვნის იმ პატრიოტთა რიცხვს, რომლებსაც გარდა თავისი სამშობლოისა აღარაფერი სწამთ, რომლებსაც სამშობლოს გარეთ სული ეხუთებათ და ვერავითარ სიამოვნებას ვერ პოულობენ—სხვანაირად რომ ვსთქვათ აკაკი არ არის ცალმხრივი, ვიწრო პატრიოტი. მას უყვარს თავისი სამშობლო, უყვარს მთელი ქვეყანაც; უყვარს მშობელი ერი, უყვარს სხვა ერებიც. რომ ეს უბრალო სიტყვებათ არ ეჩვენოს ვისმეს—ჩავიხედოთ მგოსნის არსებაში, აი რა სიტყვებს გავიგონებთ მისგან:

„ხატია ჩემი სამშობლო
სახატე მთელი ქვეყანა“.

როგორც ნათლად სჩანს აკაკის ლექსის ამ ორი ტაეპიდან, მგოსნის სალოცავი ხატია სამშობლო მხარე; სახატე კი ის ტაძარია, რომელშიდაც თავსდება მთელი კაცობრიობა. მგოსანს უყვარს ხატი-სამშობლო, უყვარს ტაძარიც, სადაც ასვენია მისი საყვარელი ხატი, ე. ი. მთელი ქვეყანა. ამ ტაძრის გაფურჩქვნა-აყვავება, მასში მყოფ მლოცველების—კაცობრიობის წინსვლა საუკეთესო მომავლისაკენ, მათში გამეფებული ძმობა, ერთობა, თავისუფლება,— ყველა ესენი ხომ გააბრწყინ-გაამშვენიერებს მგოსნის სალოცავ ხატს—სამშობლოსაც. ეს მშვენივრად ესმის ნიჭიერ მამულიშვილს და მისი სურვილია ეს ტაძარი იყოს წმინდა და ამ ტაძარში მლოცველი, რომელი ხალხიც უნდა იყოს იგი, ყოველგვარ ადამიანურ თვისებებით შემკულ-შემოსილი. აი რა არის მგოსნის სურვილი, აი რა არის მგოსნის მისწრაფება!...

აკაკის წმინდა და უანგარო იდეალია, რომ ადამიანთა შორის გამეფდეს ძმობა, ერთობა, თავისუფლება და სიყვარული; მის გონებაში იხატება ის დიდებული ქვეყანა, სადაც აღარ ექნება ადგილი იმ გულის მომწამვლელ და სულის აღმაშფოთებელ სურათს, რომელსაც ის ხედავს დღეს იმ ტაძარში, სადაც, სხვა ერების ხატებთან ერთად, მისი ძვირფასი ხატიც ასვენია.

დიახ, მგოსანი ოცნებით მიისწრაფვის ამ უცხო მხარისაკენ, სადაც სიყვარულსა და თავისუფლებას მოუკალათებია:

„წავალ, სად-ც ბოროტებას
კეთილ საქმედ არა სთვლიან,
სადაც პირად ღირსებაებს
ნაბოძვარში არა სცვლიან
სადაც ყველა თანსწორია
ერთს მეორის არ აქვს შიში,
სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ
ფარისევლის ანგარიში“.

ამისთანა ქვეყანა იცის მგოსანმა მხოლოდ ერთად ერთი. ეს ქვეყანა ჯერ კაცობრიობის ოცნებაში იხატება, ის ჯერ მხოლოდ იდეალია, საითკენაც კაცობრიობა მიისწრაფვის...

ეხლა კი მწარე სინამდვილით გულდაკოდილი მგოსანი სტირის და ოხრავს იმ უნუგეშო მდგომარეობის გამო, რომელშიაც იმყოფება მისი საყვარელი ხატი-სამშობლო და ის ტაძარი, სადაც სხვებთან ერთად, ეს ხატი ასვენია—მთელი მსოფლიო. ყველგან მთელ ტაძარში გამეფებულია: ბოროტება, ერთი მეორისაგან ჩაგრვა, ოხვრა-კვნესა, მაძღრები და მშივრები, მდიდრები და ღარიბები, უძლური და ძლიერი...

ეს სურათი მგოსნის გულს ისარივით ესობა, ხან კი ბრწყინვალე მომავლის იმედი შეღავათსა ჰგვრის:

„გულს მესობა ხან ისარი,
ხან სუნელი ვარდის კონა“.

არც შეუძლია მგოსანს, როგორც დიდბუნებოვან ადამიანს, გულგრილად უცქიროს ამ საზარელ სურათს, ხალხთა შორის გამეფებულს. მგოსანი ხომ, როგორც თვითონ ამბობს, „ქვეყნის შვილი, ქვეყნის მოძმეა“ და, როგორც ამისთანას, თავის ჩანგურის საგნად აუღია არა მარტო მრავალტანჯული ქართველი, არამედ საზოგადოთ ადამიანი, ვინც კი ქართველისებრ მდგომარეობაში იმყოფება...

— —

თვითეული ადამიანი ვინც უნდა იყოს ეს უკანასკნელი: ნასწავლი გინდ უსწავლელი, დიდი თუ პატარა, ჭაბუკი გინდ მოხუცი,—საჭიროებს ხორციელ საზრდოს გარდა, სულიერ საზრდოშიაც. თუ სულიერ საზრდოს ადამიანი მოკლებულია, ის შორს ვერ წავა პირუტყვების სამეფოდან. მაგრამ სულიერი საზრდოც არის და სულიერი საზრდოც. უბრალო მკითხველს ყოველგვარ სულიერი საზრდოს მიღება-მონელება არ შეუძლია. ამისთვის ის მწერალი, რომელიც აწვდის ხალხს იმისთანა ნაწარმოებს, იმ გვარ სულიერ საზრდოს, რომლის ადვილად მონელება მკითხველს შეუძლია, რომელიც ხვდება მის გულს მალამოდ, ამისთანა მწერალი სრულიად სამართლიანად იჭერს პირველ ადგილს იმ მწერლებთა შორის, რომლებიც ხალხის სულიერ მხარეს ემსახურებიან.

მე-XIX საუკ. ქართველ მგოსანთა შორის ვერ მიმითითებთ მეორე მგოსანზე, რომელის კალამის ნაყოფს, რომლის შემზადებულ სულიერ საზრდოს ისე დაწაფებოდეს ხალხი, ამ სიტყვის სრული მნაშვნელობით როგორც აკაკისას...

აკაკიმ შთაბერა მშობლიურ ლიტერატურას სული ხალხური, გარდაქმნა იგი სულიერ საზრდოს დაუშრეტელ წმინდა წყაროდ, რომელსაც ეწაფება არა მარტო წერა-კითხვის მცოდნენი, არამედ სრულიად უსწავლელებიც კი.

ნიჭიერმა მგოსანმა მშვენიერად გაიგო და შეისწავლა სულიერი მდგომარეობა მშრომელი ერისა! მშვენივრად სცნო თუ როგორ სულიერ საზრდოს მოითხოვდა ხალხი, რა იყო ამ უკანასკნელის მისწრაფება, სულის კვეთება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი და ამისდა მიხედვით მომართა თავისი უკვდავი ჩანგური, ამ ჩანგურს სიმები გამოაბა სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრების გულს და ხალხის ჭირვარამისდაგვარად დაუწყო მზადება სულიერ საზრდოს. შრომა მგოსნისა დაგვირგვინდა უტყუარი ნაყოფით: ხალხი დაეწაფა მის ნაწარმოებს, მიიღო შეითვისა, მოინელა და ამ საზრდოს შემამზადებელი—აკაკი კი გარდაიქცა ხალხის მეგობრად, ხალხის საყვარელ მგოსნად. დიახ, აკაკია **მგოსანი ხალხოსანი.**

ვინ იტყვის, რომ მე-XIX ს. აკაკის

მოწინავე ზოგიერთ მგოსნებსაც ხალხის ტკივილებისდა გვარად არ მოემართოს თავიანთი ჩანგი, მაგრამ, ვიტყვი თამამად, მათგან შემზადებულ სულიერ საზრდოს აკლდა „საკაზმი“, რაცაა მიზეზი იმისა, რომ ხალხი, განსაკუთრებით მდაბიო, ჯერ სულ არ მიეკარა ამ საზრდოს და თუ მიეკარა ვერ შეითვისა, ვერ გაიგო, ვერ მოინელა იგი და ზურგი უჩვენა მას—სულიერ საზრდოს, ზურგი უჩვენა ამ უკანასკნელის შემამზადებელ მგოსნებსაც. არა თუ აკაკის მოწინავე მწერლები მგოსნის თანამედროვე მწერალთა შორისაც თითქმის დიდი უმრავლესობა ხალხს ვერ დაახლოვებია, ხალხის გულში ადგილი ვერ მოუპოვებია.

სულ სხვაა აკაკი! თვითეული მისი თხუზულება მომჯადოველი, მარტივი ენით ხალხის გემოზეა შეთხზულ-შეკაზმული.

აკაკიმ თავის პოეზიაში სრულიად მარტივად გამოამზეურა ქართველი ერის უბედური ცხოვრება, მისი სულის მოძრაობა, მისი გრძნობები, მისი სასოება და იმედი. აკაკის პოეზია—ეს ის უცნაური სარკეა, სადაც მრავალტანჯული ქართველი ერი ნათლად ხედავს თავის თავს წარსულში, აწმყოში და მომავალში.

აკაკიმ უკეთ რომ არ შეიძლება ისე შეისწავლა სახალხო ენა, ამ უკანასკნელის საიდუმლო ხმა, კილო; მშვენივრად იცის საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, მათი ზნე-ჩვეულებანი, თვისება-ხასიათი; სამაგალითოდ იცნობს მშრომელ გლეხს, მის ბედსა და უბედობას, მის მოქმედება-მისწრაფებას; იცის მდგომარეობა საწყლისა და დაცემულის, ობლისა და ღარიბების; იცნობს მშვენიერებით აღსავსე საქართველოს ბუნების სურათებს, ტყეს, მდინარეებს, მინდვრებს, მთებს, ცხოველებს, ფრინველებს. ყველა ამაების დასურათება-დახასიათებაში, ხალხის გემოზე მოწვნა შეკაზმაში ცხადად სჩანს აკაკის ხალხოსნობა.

აკაკიმ მშვენიერად იცის, თუ როგორ სულიერ საზრდოს მოითხოვს მდაბიო მკითხველის გაუწრთვნელი გონება, თუ

*) იხ. „სამშობლო“ № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, დილით, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## მარიამ სტეფანე თუმანიშვილის ასული
## კოკოჩაშვილისა.

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: დები: ანა სტეფანეს ასული ქაჩხოაშვილისა, ელისაბედ სტეფანეს ასული ჯიმშერაშვილისა, ნატალია, როზა სტეფანეს ასულნი და ძმა ივანე სტეფანეს ძე თუმანიშვილები; სიძეები: მელქონ ქაჩხოაშვილი და პავლე ჯიმშერაშვილი. გამოსვენება ოთხშაბათს, 1 აპრილს, დილით 9½ საათზე, თუმანიშვილების სახლიდან. გაგარინის ქუჩაზე. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. ცალკე ბარათები არ დარიგდება. 2—1—140

განა ასე მიტოვებული უნდა იყოს ამდენი სამკურნალო წყარო? არავინ არ ცდილობს ეს ბუნებრივი სიმდიდრე სასარგებლოთ გამოიყენოს. პატრონებს არც ცოდნა, არც შეძლება არა აქვთ, კერძო კაპიტალისტები არა გვყავს და რომ იყოს ვინმე შანტაჟისტების შიშით სადმე უნდა გაიქცეს, ამხანაგობასა და სინდიკატს ჩვენში სახელი აქვს გატეხილი, ერობა არ გვეღირსა, ქალაქის თვითმართველობას ქალაქის პატრონობაც უჭირს, ბანკებს თავისი საქმე აწუხებს და ამგვარათ გადის დრო—ჟამი, სიღარიბეში ვიხრჩობით და შემოსავლის წყაროებში უპატრონოთ არის.

დღეს ჩვენი დაუდევრობა ქვეყანამ გაიგო. გარედან შემოგვიტიეს და ცოტა ავხმაურდით. ქვეყანამ გაიგო, რომ წყალტუბოს წყლები აქ კი არა მთელ დედამიწაზე იშვიათი რამ არის და ამიტომ ამ ადგილმა სახელმწიფოს ყურადღება მიიპყრო. აი სწორეთ ახლა ეს საკითხი სადღეისოა. მთავრობის საჩქარო განზრახვაა ეს წყლები რიგიანათ მოეწყოს და ამით ფართო წრეს გაუწიოს სამსახური. ამგვარათ დღეს, თუ ხვალ გვეძლევა საშუალება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრით ვისარგებლოთ; პატრონიც გამობრუნდეს და სხვასაც რამე ეშველოს. აი ვისაც ეს საქმე ეხება და ვისაც ეს აინტერესებს დღეს ნუ დაზოგავს შრომას, რომ ეს საქმე მოეწყოს. თუ ეს პირველი ნაბიჯი საკეთილდღეოთ გადაიდგა, სწორეთ დაუდგება დრო ჩვენ სამკურნალო წყლებს, ის მილიონები, რომელიც სხვაგან მიდიოდა აქეთ დაბრუნდება, რაც ჩვენ საცოდავ ქვეყანას სწორეთ გააცოცხლებს.

დროა ვიზრუნოთ ჩვენ თავზე, მივაქციოთ ყურადღება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და შევიგნოთ, რომ ჩვენი წარმატების წყარო ჩვენშივეა და სულ სხვაგან ნუ ვიყურებით. გავითვალისწინოთ ჩვენი შინაური ღირსებაც და ნაკლულევანებაც—ეს დაგვაყენებს რეალურ გზაზე, თვით ჩვენი ოჯახი გვიკარნახებს ჩვენ სამოქმედო პროგრამას.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

# დიდი საქმე.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სიმარტივე ნათლად გვაჩვენებს, თუ რამდენათ მოუმზადებელია ქართველობა, რომ თავის ცხოვრების ამა თუ იმ განსაკუთრებულ მოვლენას დროზე ანგარიში გაუწიოს ხოლმე.

ყველაზე საჭირბოროტო ამ მოვლენათა შორის, დღეს მაინც, ითვლება ომის გამო დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა. მაგრამ მიმდინარე ცხოვრების განვითარებამ წარმოშვა ისეთი საკითხიც, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა მთელი ქართველობის ეკონომიურ ცხოვრების დედა ძარღვს ამოძრავებს.

იმ დროს, როდესაც სამშობლოს ეწირება ასი ათასობით ომში გასულ ახალგაზდათა სიცოცხლე—ეს საუკეთესო ძალა სამეურნეო ღირებულებათა ამოძრავებისა, იმ დროს, როდესაც ომში გასულნი თავგანწირულებით იბრძვიან მტრის წინააღმდეგ, და შინაურ ცხოვრების ჭირვარამით ისედაც დასუსტებული ჩვენი ერი საკუთარ სისხლს ღვრის, იმ დროს, როდესაც შინ დარჩენილთაც სიკვდილის აჩრდილი თავს დაგვტრიალებს ყოველგვარ გადამდებ სენის სახით, ყოველი ქართველი მოქალაქის გულს მაინც შუქსა ჰფენს სიამისა და განუსაზღვრელ იმედის ის ნათელი, რომ ყველა ამ გაჭირვებათა მთელს რიგს ბოლო მოეღება ჩვენი ეროვნულ სიამაყის აღდგენითა და ეკონომიურ ცხოვრებისათვის ახალ ღირებულებათა შექმნით, ამ დროს-მეთქი, ბატონებო, მოვალენი ვართ მეტის სიცხოველით და უფრო მკაფიოთ გამოვხატოთ ჩვენი გულის ნადები და ჩვენს მისწრაფებას მოვუპოვოთ რეალური ნიადაგი, მივცეთ მას განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმა.

უპირველესად ყოვლისა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც სასურველათ გაუძღოლოდეს, თავს გაართმევდეს ფართო მასის არსებულ დუხჭირ მდგომარეობას, ზედმიწევნით და უფრო დაწვრილებით გამოიკვლევდეს ან და მასალებს შეკრებდეს ხალხის ნივთიერ მდგომარეობის შესახებ, და ამასთანავე კიდეც შეეცდებოდეს სახსართა აღმოჩენას მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

უნდა დაარსდეს, რაც შეიძლება მცირე შემადგენლობით, განსაკუთრებული წრე ისეთ პირთაგან, რომელნიც დაახლოვებით იცნობენ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას. წრის ვალდებულობა იქნება აღნიშნოს თუ რომელ კუთხეს, ქალაქს, დაბას თუ სოფელს რა განსაცდელი მოელის და რითი შეიძლება მისი თავიდან აშორება. მაგ. მოდის ამბავი: ქობულეთი დაიმშა ან გურიაში რაიმე სენი გაჩნდა. ხსენებული წრე, უპირველესათ ყოვლისა, შეეცდება ნამდვილი ცნობის შეძენას: რომელი კუთხე ქობულეთისა უფრო დამშეულია, ხშირია თუ არა მოუსავლობა. რამდენი სული განიცდის შიმშილს, რაიმე სხვა მიზეზისა თუ მოუსავლობის გამო, რამდენი ფუთია მოსაზიდი დახმარებისთვის და სხვ. ან კიდევ ცნობას შეკრეფს რა სენი, გურიის რომელ ნაწილშია, საიდან გაჩნდა, რამდენათ საშიშია მდგომარეობა და ზომებს მიიღებს სენის გავრცელების წინააღმდეგ. ყველა ამგვარი ზომების მიღება წინასწარ გადაწყვეტს სახსარის აღმოჩენის საკითხს. ამ სახსართა უმთავრესი წყარო იქნება, რასაკვირველია, შემოწირულებათა მიღება, რომლის უფლება მთელს საქართველოში მხოლოდ ამ წრეს უნდა მიენიჭოს. ამას ის სასიამოვნო შედეგი მოყვება, რომ საზოგადოება უფრო ნდობით მოეკიდება ამ წრეს, როგორც უმთავრეს ორგანოს, ერთ მთლიან ორგანიზაციას ვარამ-ხიფათთა თავიდან ასაცილებლათ.

ასეთი წრე უნდა დაარსდეს როგორც ჩვენ სატახტო ქალაქ თბილისში, ისე ქუთაისშიც და სხვ. დაბა-ქალაქებში. წრეშ თავისი აგენტები უნდა იყოლიოს, რაც შეიძლება ყველა სოფლებში. ყოველმა წრემ უნდა შემოიფარგლოს თავისი მოქმედების არე, რომლის სივრცე არ უნდა აღემატებოდეს მიჩნეულ წრის სამოქმედო ძალებს. ამგვარათ უნდა შევეცადოთ ხალხის არსებულ დუხჭირ მდგომარეობის შემსუბუქებას. ვარამ-ხიფათთა წრე ღებულობს ზომებს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილთა დასახმარებლად.

მაგრამ არის მეორე მხარეც მიმდინარე ცხოვრების ვითარებაში, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთგვარ იმედის ნათელს ჰფენს ყოველს ქართველს. როგორც უნდა გადაწყდეს მსოფლიო ბატონობის საკითხი, რა მიმართულებაც უნდა მიიღოს სამხრეთ-ჩრდილოეთის ბრძოლამ, ძველი საქართველოს გაერთიანება აუცილებელია: დღეს თუ ხვალ, ამა თუ იმ პოლიტიკურ მიზეზების გამო ჭანეთი და საქართველო გაერთიანდება, ვინაიდან დღეს რუსეთი ბატონობს შავზღვაზე

საქართველო უჭანეთოთ არაფერია, საქართველო ჭანეთთან ერთად კი ყველაფერი! ჯერ ჭანეთის მდებარეობა ზღვის გასწრივ რათ გვიღირს ჩვენ! მერმე თვით უმდიდრესი ჭანეთი, ბუნებით უხვათ დაჯილდოვებული ჭოროხის ხეობა, უღრანი ტყეებით დაფენილი მთა-ბორცვები, მადნეულობით ქებული მთები, ტროპიულ მცენარეებით გამშვენიერებული ვაკენი, სადაც ყოველგვარი ხილეულობა ხარობს, მეთევზაობა (ზღვის პირათ) და ხილით ვაჭრობა ხომ უპირველესი დარგია ჭანელთა საქმიანობისა. ამისათვის უნდა ავირჩიოთ განსაკუთრებული სამეურნეო წრე, რომელიც ახლავე შეუდგება იმის განხილვასა და გამოკვლევას თუ რა მხრივ, რა და რა მოსავლითა, რაგვარ მრეწველობითა და რა ბუნებრივ სიმდიდრით შეგვიძლია ვისარგებლოთ ჩვენ ჭანეთში.

ამავე დროს ჩვენ უნდა ჩამოვაგდოთ მეგობრულ-ძმური განწყობილება ჭანელებთან, რაც მიუცილებელი საჭიროებაა მათი ქართველურ, მშობელ კულტურასა და საქმიანობასთან მჭიდროთ დაკავშირებისათვის...

**ტოტე.**

# ახალი ამბავი.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში გაიმართება ახალგაზდა მგოსნის ნოე ჩხიკვაძის „სალიტერატურო საღამო“ 4 განყოფილებათ. თავიანთ ნაწერებს წაიკითხავენ: ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, დ. თომაშვილი, ნ. ჩხიკვაძე და სხვები. შემდეგ წარმოდგენილ იქნება მხიარული ვოდევილი დ. მესხისა „მოფურჩხულია“. იმედია ქუთაისის საზოგადოება გულს არ დააკლებს ახალგაზდა მწერალს და ბლომად დაესწრება.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი და ქართველი დრუჟინის უფროსი პოლკოვნიკი თავ. დ. ო. ნიჟარაძე ქ. ბათომის კომენდატმა, კვირას, 29 მარტს საჩქარო დეპეშით გაიწვია. თავადი ნიჟარაძე ბათომს გუშინ დილით გაემგზავრა.

✦ შაბათს, 28 მარტს, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში თ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით შესდგა დამშეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტის კრება. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა: იშუამდგომლოს გუბერნატორის წინაშე, რათა ხაზინამ მისცეს სესხი სათესლე სიმინდის საყიდლათ.

✦ ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობას, საბა თედორეს ძე [illegible] გადასცა ორი რწყვილი [illegible] რი დუგმა, ქათიბის შესაბნევი (ჩაბხატი).

✦ მიხეილ ნიკოლოზის ძე სუპატაშვილმა, ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობას გადასცა ენისეისკიდან (ციმბირი) ჩამოტანილი შემდეგი ნივთები: 1) ირმის ტყავისაგან შეკერილი ერთანი, (gola), 2) იმგვარივე მასალისგან გაკეთებული ფეხზე ჩასაცმელი ჩექმის მსგავსი, 3) ქუდათ შეკერილი პირბადე, კოლოსა და ერთგვარი წვრილი მწერის (მუმლი) მოსაგერებლათ. 4) არყის ხის ქერქისაგან გაკეთებული ბოყვი. 5) და ფოტოგრაფიული სურათები იქაურ ცხოვრებიდან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება გადამდებ სენთან საბრძოლველად. ამ დადგენილებას ხვალ დავბეჭდავთ.

✦ კვირას, 29 მარტს ძველი თბილისის მეორე შესახვევში გულის სიგანივურით უეცრათ გარდაიცვალა დ. ჩხარის სკოლის მასწავლებელი ბ. ლუტიძე.

✦ კვირას ჯარში გაწვეულთა დამხმარე თავად-აზნაურთა კომიტეტთან არსებულმა ქალთა წრემ გამართა ეგრეთ წოდებული „წითელი კვერცხის“ დღე, რომლის შემოსავალიც გადაიდება სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ.

✦ ხვალ, 1 აპრილს, დილის 10 საათზე საადგილ-მამულო ბანკში შესდგება ამ ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის წევრთა წლიური კრება.

✦ ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორმა ექიმმა ჩარექოვმა ქალაქის საბჭოში თხოვნა შეიტანა, რომ მოემატოს ჯამაგირი იმ მოსამსახურეებს, რომელნიც გადამდები სენით ავადმყოფებს უვლიან და აგრეთვე ისინი დაზღვეულნი იქნენ ქალაქის ხარჯით.

✦ კვირას, 29 მარტს, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის წევრთა წლიური კრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

ამავე მიზეზის გამო სხვა დროისთვის გადაიდო ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების კრებაც.

✦ 23 მარტს, ღამით, ვიღაც ბოროტგამზრახველებმა მოინდომეს ერქომაიშვილის მაღაზიის გაძარცვა (თბილისის ქუჩაზე) ორი მათგანი შეუსლა გვერდით სადალაქოში, მესამეს კი, რომ ეჭვი არავის აეღო, კარები გარედანვე ჩაუკეტია. რო-

როგორი ნაწარმოებით შეიძლება შეანძრიოს მისი სულიერი მხარე. აკაკიმ ერთნაირად მოინადირა ყველას გული როგორც დიდის, ისე პატარასი, როგორც ჭაბუკის, ისე მოხუცის, როგორც მაღალი ნასწავლის, ისე უბრალო წერა-კითხვის მცოდნესი. აკაკის მარგალიტი ლექსი გამეფდა საქართველოს მთელ სივრცეზედ. მისმა ლექსმა მოიპოვა ალაგი ყველგან და ყველასთან როგორც მდიდარის ისე ღარიბის, როგორც გლეხის, ისე თავად-აზნაურობის სახლში. აკაკის ლექსს სიამოვნებით კითხულობს ყველა განურჩევლად სქესისა და წოდებისა...

საქართველოს მთელ სივრცეზედ ვერ იპოვით იმისთანა სოფელს, ქალაქს და დაბას, სადაც აკაკის სახელი ოქროს ასოებით არ ქონდეთ ჩაწერილი გულში ამ ადგილების მკვიდრთ.

საკმაოა ახსენოთ სიტყვა „აკაკი“, გვარის მიუმატებლად, რომ გონების თვალთ წინ დაისახოს საყვარელი ადამიანი მან, ვისაც უნახავს სახე მხცოვანი მგოსნისა და სახეზე დაეტყოს სურვილი მგოსნის გაცნობისა მას, ვისაც არ უნახავს იგი.

აკაკის ლექსებმა მოიპოვეს უკვდავი ადგილი ქართულ სიმღერებში. ყველგან და ყოველთვის ქალაქში და სოფელში, მთაში და ბარში, ყანების მარგლისა და წმენდის დროს, პურის მკისა და მგზავრობის დროს,—სად ნახავთ მოსიმღერეებს, სად იპოვით მოღიღინეს, რომ საყვარელ მგოსნის რომელიმე ლექს არ ხმარობდეს მოსათვალავად.

ძნელად იპოვით იმისთანა ქართველ ოჯახს, სადაც კი აკვანი დგას, რომ დედა პირველულ თავის პატარას მგოსნის „იავნანა ვარდონანა“-ს ღიღინით არ ამშვიდებ-აძინებდეს. ვერ იპოვით იმისთანა ქართველ მოგიტარეს, რომელსაც თავი მოაქვს გიტარის ცოდნით, რომ აკაკის მუსიკალურ-ჰარმონიულ ლექსებს არ ამღერებდეს და სიმღერით წარმოთქმული ლექსებით ჟრუანტელს არ გვრიდეს მსმენელებს.

რომელ საკრავს აიღებთ: ფორტოპიანოა ის, თუ გრამაფონი, ჰიანურია, ფანდური, თარი თუ ნაღარა, რომ აკაკის ლექსები მათ გარეშეო არ ფრინავდეს და მათზედ არ ემღერებოდეს. რას ამტკიცებს ყველა ეს, თუ არა აკაკის ხალხოსნურ—მგოსნობას?

დიახ, აკაკია მგოსანი ხალხოსანი!.. მან მოიპოვა ალაგი ყველგან და ყველას გულში. ხალხს იგი იცნობს... ხალხი მას იცნობს...

(დასასრული იქნება).

**გორგი**

# კარლ კაუტსკი ომის შესახებ.

ხერსაკოვიდან.

(დასასრული*)

თანამედროვე ომი—იმპერიალისტური ომიაო—აი ის სიტყვები, რომლებსაც დღეს ყველა გაიძახის. მაგრამ იკითხავთ, რა არის იმპერიალიზმი? რით განსხვავდება იმპერიალისტური ომი სხვა ომისგან? რა მომავალს გვიმზადებს ჩვენ განვითარება იმპერიალიზმისა?

ამ კითხვებზე კაუტსკი თავისებურ განმარტებას იძლევა. მისი აზრით დღევანდელი იმპერიალიზმი არსებითად განირჩევა ძველი დროის იმპერიალიზმისგან. თუ ძველად იმპერიალიზმი მიისწრაფოდა მეტროპოლიის ახალშენებთან ორგანიულად შეერთებისა და საზღვრების გაფართოვებისაკენ, დღევანდელი იმპერიალიზმი სულ სხვა გვარია.

დღევანდელი იმპერიალიზმი არის ნაყოფი თანამედროვე განვითარებული კაპიტალისტური წარმოებისა და სურს დაიმორჩილოს და შემატოს თავის სამშობლოს სხვა აგრარული ქვეყნები, რომელსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგინი. ასეთს სურვილს ბადებს აგრეთვე ის უსწორმასწორობა, რომელიც არსებობს ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ინდუსტრიის ზრდასა და სოფლის მეურნეობას შორის უნდა არსებობდეს განსაზღვრული პირობები, რადგან პირველი იღებს მეორისგან დაუმუშავებელს მასალას და სამაგიეროთ აძლევს მას უსაჭიროეს საქონელს. მაგრამ ამ პირობების დაცვა და მათი ასრულება შეუძლებელი ხდება კაპიტალისურათ განვითარებულს ქვეყნებში, სადაც ინდუსტრიის ჩქარი განვითარება ბევრათ წინ უსწრებს მეურნეობის ზრდას. ეს მით უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლის მეურნეობის ფიზიკურს და ბიოლოგიურს თვისებებს, რომლებიც განსაზღვრულს პირობებში აყენებენ მის ზრდას.

იმდენათ დიდია სამეურნეო ნაწარმოების მოთხოვნილება, რომ მესაკუთრენი თავს არ იწუხებენ გაანვითარონ და გააუმჯობესონ მეურნეობა.

სულ სხვა ნაირ პირობებშია კაპიტალისტი—მრეწველი. ის იძულებული ხდება გაანვითაროს ტეხნიკა წარმოებისა და მოამზადოს დიდ-ძალი საქონელი, რადგან ამას მოითხოვს არსებული კონკურენცია, გამრავლება მუშათა კლასისა და ზრდა კაპიტალისა. ამ რიგად მრეწველი იძულებული ხდება დიდძალი საქონელი დაამზადოს და მოუპოვოს მას „ბაზარი“. „ბაზარს“ კი მაშინ მოიპოვებს, თუ გეოგრაფიულათ გააფართოვებს სამშობლოს საზღვრებს და ეკონომიურათ დაუმორჩილებს თავის ინდუსტრიას აგრარულს ოლქებს. აი კაპიტალისტის ასეთმა სურვილმა დაბადა თანამედროვე იმპერიალიზმი.

მართალია იმპერიალიზმის ისტორიულათ განვითარებას წინ უძღოდა სულ სხვანაირი ფორმა გარეგანი პოლიტიკისა, რომლის მიზანს შეადგენდა, რაც შეიძლება ბევრი აგრარული ქვეყნები დაექვემდებარებინა თავის სამშობლოსთვის, მაგრამ ეს მხოლოდ ფრიტრედერობა იყო მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთად ერთს კაპიტალისტურად განვითარებულს ინგლისს სურდა „მსოფლიო სახელოსნოდ“ გამხდარიყო და მსოფლიო კი მის ვეებერთელა აგრარულს ოლქათ გადაქცეულიყო. ასეთი იდეა შესაძლებელი იყო კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინეთ, მაგრამ დღეს, როდესაც ძლიერმა აგრარულმა ქვეყნებმა გაანვითარეს კაპიტალისტური მრეწველობა, ფრიტრედერობა დაეცა და ადგილი იმპერიალიზმს დაუთმო.

ამ ევოლიუციის პროცესში, გარდა ეკონომიური მიზეზებისა, უმთავრეს როლს პოლიტიკური მიზეზები თამაშობდენ; ეს იყო აგრარული სახელმწიფოების ბრძოლა პოლიტიკური თვითარსებობისათვის. აგრარული ქვეყნები უკან რჩებიან კაპიტალისტურად განვითარებულს ქვეყნებს, როგორც ეკონომიურათ ისე კულტურულად, პოლიტიკურად და სხვა. თავის დაცვის ინსტიქტი უკარნახებს მათ განავითარონ ინდუსტრია და ხელი შეუწყონ მის გავრცელებას. ამ მიზნით ისინი ადიდებენ საბაჟო გადასახადს და ცდილობენ, რაც შეიძლება თავის სასარგებლოთ გამოიყენონ უცხოელი კაპიტალისტების თანხა და მათგან გამოწვეული სამეურნეო რევოლიუცია (წვრილი მრეწველების დაცემა, მუშა ხელის გათავისუფლება და სხვა.)

ფრიტრედერობა, რომლის პრინციპია ძალდაუტანებლათ „ბაზრის“ მოპოვება და თავისუფალი საერთაშორისო ეკონომიური დამოკიდებულება, ძირითადათ განირჩევა იმპერიალიზმისგან, რომელიც მოითხოვს თავის სახელმწიფოს საზღვრების განვითარებას, აგრარული ქვეყნების დამორჩილებას და ხმა მაღლა ღაღადებს სხვა და სხვა ოლქების შემოერთების შესახებ. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს, ტერიტორიის გაფართოვების პოლიტიკას დაადგეს და „ბაზარი“ მოუპოვოს ინდუსტრიას. ასეთი მისწრაფება აიხსნება, როგორც შეუბრალებელი კონკურენციით, ისე აგრარული ოლქების ექსპლოატაციით. თანამედროვე კაპიტალისტი არ კმაყოფილდება მარტო „ბაზრით“. ის ხშირათ გამოდის აგრარული ქვეყნების ექსპლოატატორათ: მას გაყავს რკინის გზები, აშრობს ტბებს, სჭრის არხებს, ამუშავებს ქვა-მადნებს და სხვა. თანხა, რომელიც ამ საქმეს სჭირია, მოითხოვს მფარველობას. მფარველობას კი უფრო თავის სახელმწიფო გაუწევს, მაშასადამე იმპერიალიზმის სურვილს აგრარული მხარეების დაპყრობა შეადგენს. მაშინ საშუალება ეძლევა იმპერიალიზმს ხელი შეუშალოს პოლიტიკურათ დამონებულს ქვეყნებში ეკონომიურს განვითარებას და თავიდანვე მოკლას შემოერთებული აგრარული ქვეყნების ინდუსტრიის ჩანასახი. ამ გზით ის თავის ინდუსტრიას მაღლა დააყენებს და რაც შეიძლება მეტს სარგებლობას ნახავს. ამ რიგათ, დღეს ყველასათვის ცხადი ხდება, თუ რათ მოითხოვს ასე დაჟინებით იმპერიალიზმი მთავრობის აქტიურათ საქმეში ჩარევას, ტერიტორიის გაფართოვებას და ომის იმპერიალისტურ ნიადაგზე აღმოცენებას.

არის თუ არა იმპერიალიზმი უკანასკნელი და დამთავრებული ფორმა კაპიტალისტური მსოფლიო პოლიტიკისა?

ამ კითხვაზე კაუტსკი მოკლეთ გვიპასუხებს და შესაძლებლათ სცნობს თანამედროვე იმპერიალიზმის მაგივრათ ულტრა—იმპერიალიზმის წარმოშობას. ეს იქნება იმპერიალისტების კავშირი ახალს ნიადაგზე დაყენებული და მისი ლოზუნგი შემდეგი სიტყვები იქნება: „ყველა ქვეყნის კაპიტალისტებო, შეერთდით“. ეკონომიურათ ეს შესაძლოა და ამას მოითხოვს თვით კაპიტალის არსებობა. მაშინ შეიქნება ახალი ხანა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელიც ახალს უბედურებას დაუმზადებს დემოკრატიას და მუშათა კლასს; მაგრამ ეს უბედურება არ იქნება არც მილიტარიზმის განვითარება და არც მსოფლიო ომი.

ასეთი გახლავსთ კარლ კაუტსკის აზრი ომზე და ჩვენც ვეცნობით მას შეკითხვებს მიუხედავად მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა.

**გიორგი ნიორაძე.**

*) იხ. „სამშობლო“ № 43.

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილათ.

საპარტიო სავაჭრო საბაკალეიო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. კილასონიას
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.

თესლი შემოწმებულია თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—2

ცა მაღაზიის კედელს რკინის კეტებით ნგრევა დაუწყეს. ეს ამბავი ვიღაცამ მაძებარ პოლიციას შეატყობინა. ბოროტ გამზრახველები შეიპყრეს. ერთი მათგანი ვიღაც მიქელაძე აღმოჩნდა.

## თეატრი.

ჩვენი ამხანაგობის დასი დამსახურებულ მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის სასარგებლოდ ამზადებს „ქალის სამშობლოს“, პიესა ზუდერმანისა, ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

— —

ხუთშაბათს, 2 აპრილს მსახიობი მ. გელოვანი მართავს რუსულ წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება „გემრიელი ლუკმა“, მონაწილეობას ღებულობს ამხანაგობის დასის მსახიობები და ადგილობრივი საუკეთესო სცენის მოყვარეები.

— —

დღეს, ქალაქის თეატრში ნ. ჩხიკვაძის სალიტერატურო საღამოში ჩვენი დასი ითამაშებს მხიარულ ვოდევილს „მოფურჩხულია“ დ. მესხისა.

## წერილი

**მოძმეთა გულ-შემატკივარის პაწია გაიოზ აბასების ძე იმედაშვილის მიმართ.**

პაწაწინა გულწრფელო ქართველო!

თქვენი შემოწირულება და გულ წრფელი ამონაკვნესი თქვენ პატარა ძამია აჭარლებისადმი წავიკითხე „სახალხო ფურცელში“. გვწამს პაწაწინავ, თქვენი ნორჩი გულის ტკივილი თქვენ დაჩაგრულ პატარა ძამია აჭარლებისადმი, მხოლოთ გთხოვთ ჩემი წერილის წაკითხვისას, შემდეგი უამბო შენ საყვარელ მამას: მამა! თქვენ რომ გამაგონეთ — „ჩვენი ქართველი ხალხი გათათრებული არიან“-ო. ეს სრულებით ასე არ ყოფილა-თქო, ისინი გათათრებულნი კი არა, გამაჰმადიანებულნი არიან. მაჰმადიანობა არის სარწმუნოება, თათრობა კი ეროვნებაა. სარწმუნოება ვერ სცვლის ეროვნებას, მაშასადამე ისინი ყოფილან გამამაჰმადიანებული ქართველები და არა როგორც შენ მითხარი „გათათრებულნი“. რაც შეეხება თათრებს (ამ განსაკუთრებითი ეროვნების ხალხს) ცხოვრობენ ყაზანში- ყირიმში. სად ყირიმი და სად აჭარათქო!?..

**ჰაიდარბეგ აბაშიძე.**

## პასუხი.

„ქ. ქ. წრის“ შესახებ „სამშობლოს“ 36, 37, №№ დასტამბული იყო წერილი ქ. ლუბა თვალჭრელიძისა, რომელიც ამავე გაზეთის 32 №-ს დაბეჭდილს ქართველი ქალის შენიშვნას ეთანხმება და თავის მხრით, სხვათა შორის, უმატებს შემდეგს:

„ქუთათურ ქალებში წრისადმი გულცივობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თითოეულმა მისმა წევრმა მოინდომა იქ ფეხ-მაგრად მოკალათება, სხვაზე გაბატონება, იწყო ცხვირის მაღლა წევა, მედიდურათ ცქერა დანარჩენებზე; შეადგინეს მათ ჯგუფი, მისცეს ერთმანეთს მხარი და კიდეც მიაღწიეს თავის საწადელს, ერთმანეთი ამოირჩიეს მართველებათ, ხელთ იგდეს რაღაც გვარი „ავტორიტეტი“ და სწორეთ ეს ავტორიტეტი შეიქნა დამშინებელი სხვებისთვის, რის გამოც ეს უკანასკნელნი გახდნენ მხდალ, უენო და უინიციატივო არსებათ ნამდვილ უსულო ტყავბურებით, გაბატონებულთა და მედიდურთა წინაშე“-ო.

ამ ამონაწერიდან მკითხველი ადვილათ გაიგებს, რომ მოხსენებული გულცივობის მიზეზი ახლანდელი გამგეობა ყოფილა, ის გამგეობა, რომელშიც 14 წევრი ითვლება და გვგონია, როგორც ამონაწერიდან სჩანს, ის „ჯგუფიც“ ეს 14 ქალი ყოფილა, რადგანაც ერთმანეთი ამოურჩევიათ.

თუ ამ ამონაწერიდან თითოეულ აზრს გავარჩევთ და სინამდვილეს შეუფარდებთ, მკითხველი ადვილათ დარწმუნდება, რომ ქ. თვალჭრელიძისას სიმართლე, გულწრფელობა და ლოცვა ერთბაშათ ხელიდან გასცლია.

დავიწყოთ გარჩევაც:

წრის თითოეულმა წევრმა მოინდომა წრეში ფეხ-მაგრათ მოკალათება, სხვაზე გაბატონება, იწყო ცხვირის მაღლა აწევა, მედიდურათ ცქერა დანარჩენებზედა და სხვა ამისთანები.

ასეთი სურათის წარმოდგენაც კი ძნელია, თორემ სინამდვილეში მისი არსებობა ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია: ორასსამასი ქალი, რომ ერთი ერთმანეთზე გაბატონებას ლამობდეს, მეტადრე ცხვირ აწევით და ერთმანეთზე მედიდურათ ცქერით, — ეს მხოლოთ ავტორის ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, და ასეთი კარიკატურისათვის ქ. ქ. წრის ქალებმა თვით გასცენ პასუხი, ჩვენ-კი მეტს არას ვიტყვით, მხოლოდ ერთს კი ვკითხავთ, ერთი ამათგანი ხომ თითონაც ბრძანდებოდა, და დაეკითხოს თავის თავს, ისიც ცხვირს იწევდა თუ არა და თითონაც უნდოდა წრეში მოკალათება, თუ არა?

2) შეადგინეს ჯგუფი და გამგეობათ ერთმანეთი ამოირჩიესო.

გამგეობაში 14 ქალია, და არჩევნებში მონაწილეობას ასზე მეტი იღებდა; ამათში ქ. ლ. თვალჭრელიშვილისავ, თქვენცა ბრძანდებოდით. და ასი ქალისაგან ხმის უმეტესობით არჩეული გამგეობა განა შეიძლება ჩაითვალოს ერთმანეთისაგან არჩეულათ? აქ ცხადია, ქალბ. ლუბა, თქვენი ლოღიკა ხაფანგში გაება!

3) ხელთ იგდეს რაღაც გვარი „ავტორიტეტი“-ო! ნეტა რა უნდა იყვეს ეს რაღაც გვარი „ავტორიტეტი“, დავასახელებდი მაინც, რა გვარია იგი, თორემ, ხომ მოგეხსენებათ, რომ რიგიანი ავტორიტეტი მხოლოდ საქმიანობით მოიპოება, და ეს საქებარია და არა საძრახისი.

მაგრამ, ქ. ლუბა, აქ ავტორიტეტის შექმნას იმ გარემოებას აბრალებს, რომ, თურმე ჯგუფში და წრეში, უთუოდ, უენონი და უინიციატივონი ყოფილან. და ეს უენონი, ანუ პირუტყვნი დაუფრთხია და დაუმორჩილებია მეტყველებს, რის გამოც ოპოზიცია კი ვერ შეუქმნიათ.

აქედან ცხადია, რომ ქ. თვალჭრელიძისას ქუთათურ ქ. წრის ქალები ორ ბანაკად გაუყვია: უმცირესობა, ე. ი. გამგეობა მეტყველად უნდა ვიანგარიშოთ, უმეტესობა პირუტყვად, რასაკვირველია, ქ. ლუბას პერსონის გამოკლებით. ასეთი კლასიფიკაციისათვისაც შესაფერ პასუხს უენონი მისცემენ მუნჯურთ მაინც შესანიშნავი სტატიის ავტორს და ჩვენ კი მადლობის მეტი არა გვეთქმის რა, რადგანაც მეტყველების ნიჭი და „ავტორიტეტის“ უნარი არ წაგვართვა.

4) უენონი ოპოზიციის შედგენას კი არა, უბრალო ანგარიშის მოთხოვნასაც კი ვერ ბედავენო.

თქვე დალოცვილო ლუბა, ასე როგორ გაათახსირეთ ამდენი ქალი ქ. ქ. წრისა, რომ საზოგადო, ანუ არა ჩვეულებრივ კრებაზე, მოგვმართონ გამგეობას და მოგვთხოვონ, თქვენი ნამოქმედარის ამბავი გვითხრათო.?

და თუ ისინი ამის თქმასაც ვერ გაბედვენ და ვერ მოახერხებენ, ვითარცა დამფრთხალნი და უენონი, ერთი დღე მოაკელით თქვენ ძვირფას ოჯახს და შესწირეთ იმ წრეს; რომლის დაარსებასაც თურმე „დიდის აღფრთოვანებით“ შეხვდით; წამოუძეხით კრებაზე უენოებს და მოგვთხოვეთ ანგარიში.

რაც უნდა ცხვირ აწევას ჩვეულნი ვიყვნეთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, გამგეობის ნამოქმედარს დაწვრილებით მოგახსენებთ თქვენცა და უენოებსაც, თუ ამისთანეები მართლა სადმე მოიძებნებიან.

ქ. ლუბა, ტყუილათ ნუ ატყუებთ ნურც თქვენ თავს და ნურც სხვას, რომ ვითომც გამგეობას ეშინოდეს ანგარიშის მიცემისა.

მაგრამ ამაზე საუბარი თქვენი სტატიის გამო მეტად მიგვაჩნია: მოვა დრო, დაინიშნება კრება და ჩვენი საქმიანობა, თუ უსაქმობა იქ გამოჩნდება. თქვენ კი ეცადეთ მანამდი თქვენი ოჯახის მოვლას და იმ ქალების გარწთვნას, რომელნიც თქვენის მეოხებით მომავალი წრის წევრათ „შვიდ წილ გაწმენდილნი“ ჩაეწერებიან.

**ქ. ქ. წრის გამგეობა.**

## მცირე შენიშვნა.

შარშან, სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, ერთი დიდი უბედურება გვეწვია: ხელოვნების ტაძარი—ქართული თეატრი თფილისში დაგვეწვა. ამ უბედურებამ მაშინ გამოგვაფხიზლა და ჩვეულებრივათ აგვახმაურა, აგვალაპარაკა. ყველა ერთხმათ გვიძახოდით, რომ ძველის ნანგრევებზე უნდა აგებულ იქნას ხელოვნების ახალი უფრო კარგი ტაძარიო. გაზეთების აზრს გამოეხმაურა საზოგადოებაც და დაიწყო ფულების მოკრება ქართული თეატრის აღდგენის სასარგებლოდ. გვეგონა, ქართველებს ეს გამოხმაურება არ იყო წუთიერი აღტყინება და ვიდრე თეატრი არ აიგებოდა ეს ინტერესი არ დასცხრებოდა საზოგადოებაში. იმედი არ გაგვიმართლდა. გავიდა ხანი და დავრწმუნდით, რომ საზოგადოების გამოხმაურება წუთიერ აღტყინებას არ ასცილებია, დასცხრა, მიეყურდა ჩვენი ახმაურება და სხვებთან ერთად უმოქმედობას იჩენს თეატრის ამგები კომიტეტიც კი.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ თფილისში, ამ საქართველოს დედა ქალაქში, ქართული თეატრი უნდა აიგოს. აქ უმოქმედობას, დაუდევრობას და ბედოვლათობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ქართული თეატრი ქართველ ერისათვის ერთი უსაჭიროესი დაწესებულებათაგანია. თუ გვინდა სიცოცხლე, თუ გვინდა, რომ ქართველები ქართველებათვე დავრჩეთ, ერის არსებისათვის საჭირო ორგანოები უნდა შევქმნათ და ან შექმნილი დავიცვათ. ზოგიერთი საჭირო ორგანოს შექმნა დღეს, შეიძლება, შეუძლებელია, მაგრამ რაც შესაძლებელია, ის კი მაინც უნდა გავაკეთოთ. რა დროს უმოქმედობა, უილაჯობაა, როდესაც საქმე ჩვენი ერისთვის მიუცილებელ საჭირო დაწესებულებას—მელპომენის ტაძარს ეხება.

როგორც ვიცით, თფილისში არსებობს ქართული თეატრის აღმდგენი კომიტეტი და როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული ამ კომიტეტმა მიიღო უფლება თეატრის აღდგენის სასარგებლოდ კავკასიაში ფულის შეკრების. არ ვიცით რა მიზეზით და კომიტეტის მუშაობა კი შეჩერებულია. კომიტეტს უმოქმედობა არ შეშვენის. მას დიდი საპასუხისმგებლო როლი აქვს დაკისრებული და ეს როლი უნდა შეასრულოს კიდეც. აუცილებლად უნდა მოუწოდოს ქართველობას, დაგზავნოს აგენტები ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში და ან ადგილობრივათ დაავალოს ცნობილ და გავლენიან პირებს გამართონ ხელის მოწერა თეატრის ფონდის გასაძლიერებლათ. საქმის სახვალიოთ გადადება, დროს დაყოვნება და სხვისი იმედით ყოფნა ამ საქმის დასამარებას ნიშნავს. ქართველი ერი არც მთლად ისე გულცივია მშობლიურ დაწესებულებისადმი, რომ ერთი ღირსეული შენობის აგება ვერ შეიძლოს, თუნდა ამ გაჭირვებულ დროსაც კი. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა, საჭიროა მხოლოდ ფულის შეკრების ორგანიზაციის შექმნა და ეს უნდა იკისროს მან, ვინც ამგვარი მოვალეობა თავისთავზე იდვა—ე. ი. კომიტეტმა.

საჭიროა, ერთგული და თავდადებული მუშაობა და საქმე მალე საკეთილოთ დაგვირგვინდება.

**აჭილესი.**

## შავი ზღვის ნაპირა რკინის გზაზე.

როგორც იქნა, დასრულდა, თითქმის, ორმოცი წლის დროგამოშვებით გამოკვლევა შავი-ზღვის რკინის გზის მიმართულებისა და წარსულს თვეებში გაემგზავრენ ზუგდიდ-ოჩამჩირესკენ ამ გზის მაშენებელნი მუშები და ტეხნიკები, ფურგუნებითა და ცხენებით, რომელნიც ჯერ დროებით ეზიდებიან, არა რკინას და ცემენტს, არამედ ამ გზისთვის საჭირო „ხინ-კალისათვის“ საკვებ მასალას: ფქვილს, კარტოფილს, კომბოსტოს, ქერს, თივას და სხ. ენგურს გაღმა კიდეც დაიწყო ზოგიერთ ადგილში გზის გაკაფვა. საცაა ზუგდიდის მიდამოებშიაც გაჩაღდება მუშაობა. ოჩამჩირედან სენაკამდი (განზრახულია გზა სენაკს გაიყვანონ, თუმცა უმაღლესი ბრძანება ქვალონზეა დამტკიცებული და ეს ბრძანება ჯერ არაა გაუქმებული), გზის გაყვანა აქვს მინდობილი კეინოვსკის, რომელსაც ბევრგან უკეთებია რუსეთში გზები. ამ კაცმა გამოგზავნა რუსეთიდან რამდენიმე პარტია მუშებისა იმ ადგილებიდან, საიდანაც, ალბათ, ადრეც გაუყვანია რკინის გზის საშენებლათ მუშები, უმეტესობა, მგონია რიაზანის გუბერნიიდან უნდა იყვნენ, რადგანაც ამ ჟამად უმეტესი ნაწილი მუშებისა ომში არიან. აქ ჩამოყვანილი მუშები კი სულ ახალგაზდები არიან, ან სათადარიგო ჯარის კაცის წლოვანებას — ორმოცდა სამ წელს გადაცილებულნი, რომელთაც სამსახურში გაწვევა აღარ მოელით. ძნელი მოსალოდნელია, რომ ამ მუშებმა აიტანონ სამეგრელოს ჭაობებში მუშაობა, რადგანაც დაცდილია, რომ აქაურ ციებას რუსეთიდან მოსულნი ვერ უძლებენ. ამას წინათ რამდენიმე ოჯახობა ჭალადიდში დასახლდა რუსებისა, რომელთაც თან მოიყვანეს რუსეთიდან ხარი და ძროხა საუკეთესო ჯიშისა. რამდენსამე ხანს შემდეგ ჭაობებისაგან ამ საქონლიდან მარტო აჩრდილი დარჩა, ისე გახდენ.

14 მარტს, ჩამოვიდა ზუგდიდში და ისიც მხოლოდ ერთის დღით ბ. კეინოვს კი აქ ის ინახულა ბ. იონა მეუნარგია, რომლისთვისაც იმას ადრევე ჰქონდა ნათხოვნი აღმოეჩინა საჭირო შემწეობა ადგილობრივ საქმეებში. ამ ნახვის დროს ბ. მეუნარგიამ სთხოვა ბ. კეინოვსკის რკინის გზის სამუშაოდ მიეწვიათ ადგილობრივი მკვიდრნიც, რომელთაც დიდის წარმატებით გაუყვანიათ ჩვენი გუბერნიის ყველა გზა და რომელნიც, შარშანდელის მოუსავლობისა გამო, დიდს გაჭირვებას განიცდიან.

ბ. კეინოვსკიმ მეუნარგიას წინადადება მიიღო და სთხოვა მას მოეწყო მუშების გამოწვევის ორგანიზაცია. ჯერ არ არის შემუშავებული საჭირო ინსტრუქცია ორგანიზაციისა და არც არის განსაზღრული მუშების რაოდენობა, მაგრამ ამ ნადღესასწაულებს ყველა ეს გაკეთდება და მუშები იქნებიან გაყვანილნი იმ ადგილებიდან, რომელნიც უფრო დაზარალებულნი არიან შარშანდელი წვიმებით.

რაც შეეხება ადგილობრივ მეურმეთ, ამათთვის არავითარი კონკურენცია არ არის საფიქრებელი. რაც უნდა ფურგუნები ჩამოიყვანონ რუსეთიდან, იმათ მარტო შოსეზე შეუძლიათ მუშაობა და შოსეს გარეთ-კი, უსწორ-მასწორო ადგილებში, საცა ცუდი გზებია აურაცხელი მასალა მარტო ჩვენმა ურმებმა უნდა ზიდონ.

**ჯ.**

## წერილები რედაქციის მიმართ. [1]

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ ჩვენს ნაცნობთ და ნათესავებს შემდეგი: არავისთვის საიდუმლოება არ შეადგენს ის, თუ რა ხდება საერთოდ ევროპაში და კერძოთ ჩვენ ტურფა სამშობლოს გარშემო; ირგვლივ სისხლის მორევი სდგას და ვიკითხოთ შიგ ვინ ცურავს—ვინ ცურავს და ჩვენი ძმები, ნათესავები და ნაცნობები და ნუ თუ ასეთ დროს ჩვენ გვმართებს შვება და ლხენა? არა. ჩვენ სიამაყეს შოთას უთქვამს: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსო“. გვწამს და გვჯერა, მაგრამ წელს ორნაირი ჭირი გვეწვია: ა) მოუსავლობა-შიმშილობა და ბ) საერთაშორისო ომი. მოუსავლობას გაუძლებდით, გაუძლებდით ომსაც კერძოთ, მაგრამ ორივე ერთად ძლიერ გვაღონებს და ძლიერათაც ხელს გვიშლის. ამისათვის ვაცხადებთ ჩვენი ნათესავების და ნაცნობების საყურადღებოდ, რომ ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი მცხოვრებნი სოფ. კურსებს (ოკრიბა) წელს არ გადავიხდით დადებულ დღეობას — ქვაშვეთობას, რომელიც არის წელს აპრილის 5-ს და ვსთხოვთ ჩვენს კეთილებს ნუ დაისჯებიან მობრძანებით ამ დღეს, რითაც ჩვენ შეძლებას მოგვცემენ ჩვენი ჭირ-ვარამის იოლად გადატანისას.

ვთხოვთ უმორჩილესად ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განცხადება.

ხელს აწერს 21 კაცი. [2]

[1] ჩვენი რედაქცია ამ დღეებში გამოსთქვამს თავის აზრს ქართულ დღეობებისა და საერთოთ სახალხო გართობების შესახებ. რასაკვირველია, გადაჭარბებული არ ვარგა რა, მაგრამ მოსპობა კარგი ზნე-ჩვეულებისა მავნებლად მიგვაჩნია.

**რედ.**

[2] ალაგის უქონლობის გამო მათ გვარებს ვერ ვბეჭდავთ.

**რედ.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი

გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ — თ.

სპეციალური სახელოსნო
კარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

ძმ. ყორყოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

მიიღება ყოველდღე: სადის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.

ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები.

და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.